ავტობიოგრაფია

მე, გოჩა ჯეირანაშვილი დავიბადე 1977 წლის 29 ნოემბერს ქ. ახალციხეში. 1994 წელს დავამთავრე ქალაქ ახალციხის N5-ე საშუალო სკოლა. 1994-1996 წლებში ვსწავლობდი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით. 1996 წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2002 წელს.

2002 წლის 28 აგვისტოდან, 2007 წლის 16 თებერვლამდე ვმუშაობდი შსს ახალციხის რაიონული განყოფილებასა და შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე.

2007 წლიდან 2009 წლის 10 მარტამდე ვმუშაობდი სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე.

2009 წლის 10 მარტიდან დავინიშნე წალკის რაიონულ სასამართლოს მოსამართლედ და მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მივლინებული ვიქენი ახალციხის რაიონულ სასამართლოში. 2009 წლის 21 აპრილიდან უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დავინიშნე ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. 2009 წლის 28 დეკემბრიდან 2018 წლის 18 იანვრამდე ვახორციელებდი ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

2018 წლის 18 იანვარს დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ და გავმწესდი სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ.

2020 წლის 10 ივნისს დავინიშნე ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ.

2020 წლის 20 ივლისიდან დავინიშნე ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ.

2021 წლის 17 აგვისტოდან გავთავისუფლდი ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ.

2021 წლის 23 დეკემბრიდან დავინიშნე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ.

2010 წლის ნოემბრის თვიდან 2018 წლის იანვრამდე, ხოლო შემდგომ 2020 წლის სექტემბრიდან 2022 წლის ივნისამდე, პარალელურად, პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.

გოჩა ჯეირანაშვილი

01.02.2024 წელი